

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: გეოგრაფიის დოქტორი/PhD in Geography

სპეციალობა: მეტეოროლოგია/კლიმატოლოგია

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი კახაბერ ბილაშვილი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) **პროგრამის მიზანი:** სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტების მომზადებას მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების საფუძველზე. მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის დოქტორანტების მომზადების აუცილებლობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სფერო ქვეყნის უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმადგენელი ნაწილია. პროგრამის მიზანია მოამზადოს მეცნიერ-მკვლევარი, რომელიც შეისწავლის ატმოსფეროში მიმდინარე მეტეოროლოგიურ პროცესებს, მის გავლენას და ზემოქმედებას გეოგრაფიულ გარემოზე.

ბ) **პროგრამის შედეგი:** წარმოდგენილი პროგრამით მომზადებულ დოქტორს ექნება თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შემდეგი ამოცანების გადასაწყვეტად:

- **შეისწავლოს** ატმოსფეროში მიმდინარე მეტეოროლოგიური პროცესები და განახორციელოს მათი ანალიზი;
- **მოახდინოს** ატმოსფეროში მიმდინარე ეკოლოგიური ცვლილებების შეფასება და პროგნოზი;
- **შეაფასოს** კლიმატი და კლიმატური რესურსები, როგორც რეკრეაციული და ენერჯის განახლებადი წყარო, რაც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი განუყოფელი კომპონენტია;
- **შეძლოს** მიღებული შედეგების ეფექტური პოპულარიზაცია პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და მოსახლეობის ფართო წრეებს შორის;
- **მოახდინოს** სამეცნიერო და პრაქტიკული პრობლემების გლობალურ, რეგიონალურ და ლოკალურ დონეზე წარმოჩენა;
- **შექმნას** და დამუშაოს მონაცემთა ბაზა და შექმნას მიღებული შედეგების ამსახველი კარტოგრაფიული მასალა.

გ) **დასაქმების სფეროები**

სამეცნიერო კვლევითი ცენტრები და საგანმანათლებლო სექტორი, საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და გარემოს მონიტორინგის სამსახურები, რეკრეაციული სფერო, რეგიონალური და საერთაშორისო ეკოლოგიური პროგრამები, პროექტები და ორგანიზაციები; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ობიექტები და სხვ.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიის, საინჟინრო, აგრარულ მეცნიერებებში და სხვა მომიჯნავე სფეროებში.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სადოქტორო პროგრამა განხორციელდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის არსებული ლაბორატორიების ბაზაზე.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 2 დოქტორანტის მიღება.